Red Hat Enterprise Linux for Virtual Datacenters with Smart Management Standard

ლიცენზიების შესყიდვის ტენდერი

აბსტრაქტი

წინამდებარე დოკუმენტი მოიცავს, - სს ჯორჯიან ქარდის განცხადებას პროდუქტის შესყიდვის წინადადებების მოთხოვნის შესახებ. დოკუმეტი მოიცავს შესყიდვის პროცედურას, სადაც ორგანიზაციის მოთხოვნები შესაძლოა აღწერილი იყოს როგორც (ზოგადი) კონცეფტუალური პრინციპით, ისე ფუნქციური და შედეგზე ორიენტირებული სპეციფიკაციებით, - შედეგის მიღწევის კონკრეტული გზის (დეტალური ტექნიკური სპეციფიკაციების) მითითების გარეშე.

დეტალები

ტენდერი № 6

გამოცხადების თარიღი: 03.06.2022

დასრულების თარიღი: 13.06.2022 19:00:00

საკონტაქტო ინფორმაცია

მარიამ ტაბატაძე

tenders@gc.ge

+995 577 331197

სარჩევი

ტენდერში მონაწილეობის ინსტრუქცია: 2
დავალებათა აღწერილობა 2
სატენდერო მოთხოვნები 2
თანდართული დოკუმენტაცია 3
დანართი 1 - ფასების ცხრილი 4
დანართი 2: საბანკო რეკვიზიტები 5
დანართი 3: გადაწყვეტილების მახასიათებლები 6

სს ჯორჯიან ქარდი (ს/კ 204396377) აცხადებს ტენდერს Red Hat Enterprise Linux for Virtual Datacenters with Smart Management Standard ლიცენზიების შესყიდვაზე.

ტენდერში მონაწილეობის ინსტრუქცია:

- ტენდერის ფარგლებში პრეტენდენტებმა სისტემაში უნდა ატვირთონ სატენდერო მოთხოვნებით გათვალისწინებული დოკუმენტები;
- ტენდერის ეტაპზე დამატებითი ინფორმაციის მოპოვება ან დაზუსტება შესაძლებელია საკონტაქტო პირთან დაკავშირების საფუძველზე, - საწყის გვერდზე მითითებული ელექტრონული ფოსტის ან ტელეფონის საშუალებით;
- ტენდერის დასრულების შემდეგ სატენდერო კომისია განიხილავს შეთავაზებებს და გამოავლენს საუკეთესო პირობების მქონე მომწოდებელს;
- ტენდერში მონაწილემ უნდა წარმოადგინოს პროგრამული უზრუნველყოფის მომსახურების ჯამური ფასი;
- ტენდერში მონაწილემ უნდა წარმოადგინოს შემოთავაზებული პროდუქტის პრეზენტაციის და ე.წ. datasheet ფაილები;
- სატენდერო წინადადება წარმოდგენილი უნდა იყოს დოლარში დღგ-ს ჩათვლით;
- პრეტენდენტის მიერ ასატვირთი ყველა დოკუმენტი და ინფორმაცია დამოწმებული უნდა იყოს უფლებამოსილი პირის ხელმოწერითა და ბეჭდით;
- ტენდერში მონაწილეობის მისაღებად აუცილებელია ორგანიზაციამ წარმოადგინოს შემდეგი სავალდებულო დოკუმენტაცია:
  - შემოთავაზებული ფასების ცხრილი (**დანართი 1**);
  - საბანკო რეკვიზიტები (**დანართი 2**);
  - გადაწყვეტილების მახასიათებლები (ივსება მხოლოდ საჭიროების შემთხვევაში) (**დანართი 3**)
  - ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან;
  - MAF [Manufacturer Authorization Form] ფორმა, რომელსაც მწარმოებელი აძლევს პარტნიორ კომპანიებს (reseller) იმის დასტურად რომ ნამდვილად არიან მწარმოებლის მიერ აკრედიტირებული პარტნიორები;
- ტენდერის განმავლობაში პრეტენდენტს აქვს ვალდებულება მოთხოვნისამებრ წარმოადგინოს დამატებითი იურიდიული თუ ფინანსური დოკუმენტი;
- წარმოდგენილი წინადადება ძალაში უნდა იყოს მინიმუმ 90 კალენდარული დღის განმავლობაში;

დავალებათა აღწერილობა

შესასყიდი გადაწყვეტილების მახასიათებლების დეტალური აღწერა მოცემულია დანართი 3-ში.

სატენდერო მოთხოვნები

პრეტენდენტის წინააღმდეგ არ უნდა მიმდინარეობდეს გადახდისუუნარობის საქმის წარმოება და პრეტენდენტი არ უნდა იყოს ლიკვიდაციის / რეორგანიზაციის პროცესში.

პრეტენდენტ ორგანიზაციას უნდა ჰქონდეს შესაბამისი მომსახურების გაწევის მინიმუმ **3** (**სამი**) წლიანი გამოცდილება.

პრეტენდენტმა უნდა წარმოადგინოს კომპანიის საქმიანობის შესახებ ინფორმაცია, საქმიანობის მოკლე აღწერილობა (გამოცდილება, კლიენტების სია) და **მსგავსი ტიპის მომსახურების მინიმუმ ორი ხელშეკრულების წარმატებით დასრულების დამადასტურებელი დოკუმენტი (ხელშეკრულება და მიღება-ჩაბარების აქტი), რომელიც განხორციელებული უნდა იყოს ბოლო 5 (ხუთი) წლის განმავლობაში**;

პრეტენდენტმა MAF [Manufacturer Authorization Form] ფორმასთან ერთად, უნდა წარმოადგინოს პარტნიორობის დამადასტურებელი სხვა დოკუმენტებიც - ასეთის არსებობსი შემთხვევაში.

წინამდებარე ტენდერის გამოცხადება არ ავალდებულებს სს „ჯორჯიან ქარდ“-ს რომელიმე მონაწილესთან ხელშეკრულების გაფორმებას და ტენდერის ნებისმიერ ეტაპზე სს „ჯორჯიან ქარდი“ იტოვებს უფლებას რომ შეწყვიტოს ტენდერი.

თანდართული დოკუმენტაცია

- დანართი 1: ფასების ცხრილი
- დანართი 2: საბანკო რეკვიზიტები
- დანართი 3: გადაწყვეტილების მახასიათებლები (ივსება მხოლოდ საჭიროების შემთხვევაში)

დანართი 1 - ფასების ცხრილი

პროდუქცია	რაოდენობა	პერიოდი	ღირებულება
Red Hat Enterprise Linux for Virtual Datacenters with Smart Management, Standard	6	1 წელი	
	6	2 წელი	
	6	3 წელი	

მოწოდების ვადა 2022 წლის, 20 ივნისი.

დანართი 2: საბანკო რეკვიზიტები

ინფორმაცია პრეტენდენტი ორგანიზაციის შესახებ	
ორგანიზაციის დასახელება:	
საიდენტიფიკაციო კოდი:	
იურიდიული მისამართი:	
ფაქტიური მისამართი:	
ხელმძღვანელის სახელი და გვარი:	
ხელმძღვანელის პირადი ნომერი:	
ხელმძღვანელის ტელეფონის ნომერი:	
საკონტაქტო პირის სახელი და გვარი:	
საკონტაქტო პირის პირადი ნომერი:	
საკონტაქტო ტელეფონი:	
ელექტრონული ფოსტის მისამართი:	
ვებ-გვერდი:	
ბანკის დასახელება:	
ბანკის კოდი:	
ბანკის ანგარიშის ნომერი:	

დანართი 3: გადაწყვეტილების მახასიათებლები

შემოთავაზებული გადაწყვეტილება უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს:

პროდუქცია	რაოდენობა	პერიოდი
Red Hat Enterprise Linux for Virtual Datacenters with Smart Management, Standard	6	1 წელი
	6	2 წელი
	6	3 წელი